დაოსური იგავის რეცეფცია ჯერომ სელინჯერის მოთხრობაში „ჭერი ასწიეთ, დურგლებო"

თამარ სირაძე
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი 6010, ნინოშვილის 35
+995363630; tamar.siradze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0002-5286-8034

აბსტრაქტი

დღემდე ჯერომ დევიდ სელინჯერი უპირველესად პოპულარულია თავისი პირველი რომანით „თამაში ჭვავის ყანაში", რაც გასაკვირი არ არის, რადგან ჰოლდენ კოლფილდი სელინჯერის დროიდან დღემდე თითქმის ყველა მოზარდისთვის საყვარელი გმირი გახდა. თუმცა, ჯერომ სელინჯერი თანაბარ ყურადღებას იმსახურებს თავისი გლასების ოჯახის მოთხრობებითაც. განსაკუთრებით იმიტომ, რომ გლასების ოჯახის პროტაგონისტები გვიზიარებენ თავიანთ ცხოვრების აღქმას და აღმოსავლური და დასავლური ფილოსოფიური სამყაროს შერწყმით საკმაო საფიქრალს აძლევენ მკითხველს. ჯერომ სელინჯერის გამო-

რჩეულობა ძირითადად გამოწვეულია აღმოსავლური რელიგიური და ფილოსოფიური სწავლებებით, კერძოდ ძენ-ბუდიზმითა და დაოსიზმით მისი გატაცებით. ეს ფილოსოფიური სისტემები ეხმარება მას, ღიად გააკრიტიკოს ამერიკელების მატერიალისტური და ზედაპირული ცხოვრების წესი. სტატია ეხება იგავს, როგორც ლიტერატურულ ჟანრს, და განიხილავს ერთ დაოსურ თქმულებას, რომელიც წარმოდგენილია გლასების ოჯახის ერთ-ერთი მოთხრობის, „ჭერი ასწიეთ, დურგლებო" დასაწყისში. ნაშრომი აღწერს, თუ როგორ ეხმარება იგავი მკითხველს, გაიაზროს პროტაგონისტის ბედი დაოსური სწავლების მორალის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: იგავი, სელინჯერი, დაოსიზმი, გაუცხოება, მოთხრობა.